პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 8 თებერვალი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# კომუნისტი

№ 30 (718) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა. ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე

## დახმარება სასოფლო მეურნეობას.

არაჩვეულებრივი ზამთრის მიერ გამოწვეულ სტიქიურ უბედურებებმა ძლიერ დიდათ დააზიანეს ჩვენი სოფლის მეურნეობა. მუშა საქონლის გაწყვეტა, სურსათის კრიზისი და შემოდგომის ნათესების დაზიანება—ყველაფერი ეს ცუდ მდგომარეობაში და დიდ გაჭირვებაში აყენებს ჩვენ გლეხობას. ამიტომაც მუშურ-გლეხური მთავრობის წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა დაზარალებული რაიონების დახმარების საკითხი და მომავალში კარგი მოსავლის უზრუნველყოფა.

დღეს ჩვენ გაზეთში თავსდება ცნობა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მთავრობას აქვს განზრახული ცხოვრებაში გასატარებლად.

პირველი და მთავარი ამოცანაა მომავალი გაზაფხულზე სათესი მიწების რაოდენობის გადიდება. ეს მეტისმეტად საჭიროა და აუცილებელი, ვინაიდან ყინვამ დიდათ დააზიანა შემოდგომის ნათესები.

ამიტომაც საჭიროა, რომ გაფართოებული იქმნას გაზაფხულის სათესი მიწების რაოდენობა, რათა ამით ანაზღაურდეს ზამთრის მოუსავლობა. ცხადია ამის შესრულება გლეხობას მაშინ შეუძლია, თუ მას თესლეულობის და მუშა-საქონლის საკმაო რაოდენობა მოეპოვება.

ვინაიდან ამ მხრივ ზამთარმა დიდი ზარალი მოუტანა გლეხს, მთავრობამ მიანდო მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს და სასოფლო სამეურნეო ბანკს მიიღონ ყოველივე ზომები, რათა გლეხობა ყოველივე ამით უზრუნველყოფილი იქმნას. სასოფლო-სამეურნეო ბანკს შეუძლია ფართე სესხის გაცემა შეღავათიან პირობებში გლეხებისათვის, რითაც მათ საშუალება მიეცემათ მუშა-საქონლის შეძენის და სხვა. აგრეთვე განზრახულია გაძლიერებული იქმნას სავეტერინარიო დახმარება, სოფლად, ვინაიდან სუსხიანმა ზამთარმა თან მოიტანა სხვა და სხვა გადამდები სნეულებანი, რომელიც დღესაც ანადგურებს მუშა-საქონელს. დროზედ სავეტერინარიო დახმარებას შეუძლია შეაჩეროს სნეულებათა გავრცელება და ბოლო მოუღოს მას.

რომ არ დაბრკოლდეს გაზაფხულის თესვა, აგრეთვე საჭიროა სასწრაფოდ გამორკვევა ზარალის რაოდენობისა. ამ მხრივ ადგილობრივ ხელისუფლებებს მიეცა წინადადება უმოკლეს ხანში წამოაყენონ ამის შესახებ ყველა საჭირო ცნობები. ხოლო ამ ცნობების მიღების შემდეგ მთავრობას შეძლება მიეცემა გაუწიოს სათანადო დახმარება დაზარალებულ რაიონებს.

დიდი ყურადღება მიექცა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებების ბოსტნეულობისა და ხილის თავის დროზედ გაზიდვას.

ვინაიდან რკინის-გზაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები დღემდი დიდ ხანს ჩერდებოდენ, რაც დიდ ზიანს აყენებდა მათ, მთავრობამ მიმართა რკინის გზის სამმართველოს, რათა ეს ნაკლი გამოსწორებულ იქნას და სასოფლო პროდუქცია სასწრაფოთ გადაიზიდებოდეს. ყოველივე ამასთან ერთად ყურადღება მიექცა პირველ მოთხოვნილებათა საგნების, მანუფაქტურის და სხვა საქონელის გაიაფებას, რათა გლეხს საშუალება მიეცეს მათი შეძენისა.

ასეთია საერთოდ ის ზომები, რომლის გატარება განზრახული აქვს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

ეს დიდი დახმარებაა. გლეხობამაც თავის მხრივ უნდა ამოძრავდეს და საერთო ძალ-ღონით გადალახოს ყველა ის დაბრკოლებანი, რომელიც წინ ელობება გაზაფხულის თესვას. ყოველ მიზეზ გარეშე ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სათესი მიწების რაოდენობა ამ გაზაფხულზე რაც შეიძლება მეტად იქმნას გადიდებული და უზრუნველვჰყოთ კარგი მოსავალი.

კარგი მოსავალი კი სოფლის მეურნეობის და მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენის და განმტკიცების საუკეთესო საწინდარია.

## საბერძნეთის პატრიარქის გაძევება.

ამ რამოდენიმე ხნის უკან ოსმალეთის მთავრობამ სტამბოლიდან გააძევა საბერძნეთის პატრიარქი. გაძევება მოხდა ძლიერ სასწრაფო წესით. პატრიარქს სამი საათის ვადაც არ მისცეს ბარგის ასაკრავად. ბრძანების მიღებისთანავე სტამბოლის ადგილობრივ ხელისუფლებამ მყისვე უკრა მას თავი ავტომობილში და პირველ მიმავალ მატარებლით გაისტუმრა ოსმალეთიდან.

ოსმალეთის მთავრობის ასეთ საქციელმა მეტის მეტად აღაშფოთა საბერძნეთის და უმთავრესად კი ინგლისის იმპერიალიზმი, რომელმაც ამ ფაქტში დაინახა მთელი ქრისტიანული მსოფლიოს შეურაცყოფა. „მაგრამ როგორც ირკვევა „წმინდა მამამ“ სამართლიანად დაიმსახურა ეს უსიამოვნება.

სტამბოლის პატრიარქი არა ნაკლებ საშიშ პოლიტიკურ პიროვნებას წარმოადგენდა ქემალისტურ ოსმალეთისათვის, ვიდრე ნეტარ ხსენებული ხალიფი. სარწმუნო წყაროებიდან სჩანს, რომ სტამბოლის პატრიარქი ფარულად აწარმოებდა ოსმალეთის საწინააღმდეგო პოლიტიკას და ერთის სიტყვით ერეოდა შინაურ საქმეებში.

თუ ოსმალეთის ხელისუფლებამ სახელმწიფოს საზღვრებიდან გააძევა ისეთი დიდი გავლენის პირი, როგორიც ხალიფი (ხალიფი—მუსულმანების პატრიარქია) იყო, ცხადია ის ვერას დროს ვერ მოითმენდა ვერც ქრისტიანთა ხალიფის პოლიტიკურ საქმიანობას. ამასთან უნდა დაემატოს ის გარემოება, რომ თვით ოსმალთა მასები დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ პატრიარქის სტამბოლში ყოფნით და უსაყვედურებდენ მთავრობას: „შენ ჩვენი ხალიფი გააძევე, ქრისტიანელთა პატრიარქი კი დატოვეო!“ ამრიგად ერთის მხრივ პატრიარქის მტრული პოლიტიკა ოსმალეთის წინააღმდეგ და მეორე მხრივ მასების უკმაყოფილება გახდენ პატრიარქის გაძევების მიზეზად. ოსმალეთის მთავრობამ ისარგებლა საბერძნეთთან დადებული ხელშეკრულებით ტყვეთა გაცვლის შესახებ და პატრიარქი გაისტუმრა როგორც კერძო პიროვნება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ საბერძნეთის მთავრობამ ბევრი იყვირა ამის გამო და სთხოვა დიდ სახელმწიფოებს პასუხი მოეთხოვნათ ოსმალეთისათვის, მაგრამ ამაოდ.

ოსმალეთის მთავრობის სიმტკიცემ ამ საკითხში უკან დაახევინა პატრიარქის მოსარჩლეებს და როგორც უკანასკნელი რადიო იტყობინება, ისინი უკვე შეურიგდენ ამ „შეურაცხყოფას.“

—ე.

## პუტილოვის მუშები და გაზეთი „ფორვერტსი“.

### კიდევ ერთი ყალბი კამპანია.

ამა წლის იანვარში გაზეთ „ფორვერტსში“ მოთავსებული იყო წერილი რედაქციის მიმართ ვითომდა პუტილოვის ქარხნის მუშებისაგან. ეს წერილი შეიცავდა საჩივარს მუშათა „უუფლებობაზე“ საბჭოთა კავშირში და გამოთქმული იყო მადლობა „ფორვერტის“ მიმართ „ზნეობრივი“ დახმარებისათვის.

### თუ გსურთ სიმართლე მობძანდით და გაიგებთ.

პუტილოვის ქარხნის მუშებმა ამ „წერილის“ შესახებ მომხდარ კრებაზე გამოიტანეს პროტესტი ხსენებულ გაზეთის ყალბი კამპანიის წინააღმდეგ და წინადადებით მიმართეს „ფორვერტს“ გამოგზავნონ კომისია გერმანიის მუშებისაგან და გაიგონ სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ. ამასთანავე პუტილოვის მუშებმა განაცხადეს, რომ კომისიის სამოგზაურო ხარჯებს ჩვენ ვიკისრებთო.

### „ფორვერტსი“ გამგრომას აპირებს, მაგრამ მუშები არ ეშვებიან.

„ფორვერტსმა“ მიიღო ეს წინადადება და სასწრაფოდ გამოაცხადა, რომ ეს „სერიოზული წინადადება არ არის, არამედ სააგიტაციო მანევრიაო“.

ეს საკითხი მეტად აინტერესებს გერმანელ მუშებს. მუშები და მათ რიცხვში სოციალ-დემოკრატებიც არ ეთანხმებიან „ფორვერტსის“ პოზიციას, რომელიც დაკმაყოფილდა მოკლე უარით პუტილოვის მუშების წინადადებაზე.

### ძალლი ვინც მოჰკლა-მან გაათრიოს.

მუშებისა და თავის მომხრეების მხრივ ძალდატანებით „ფორვერტსის“ რედაქცია აიძულებს თავის სურვილის წინააღმდეგ დაბრუნებოდა პუტილოვის მუშების წინადადების გარჩევას კომისიის გაგზავნის შესახებ. „ფორვერტსმა“ მიმართა ხრიკებს: დელეგაციის გაგზავნა მუშათა ორგანიზაციის საქმეა და არა რედაქციისო. გაზეთი აცხადებს, რომ ამის შესახებ ვაცნობებ ბერლინის პროფკავშირთა კომისიას იმ შემთხვევაში, თუ რომ საბჭოთა სარწმუნო ინსტანციები მოგვცემენ იმ პირობების დაცვის თავდებობას, რომლებსაც გერმანიის სოციალ-დემოკრატები აყენებენ მუშათა დელეგაციის გაგზავნის საქმეში.

### გერმანიის სოც. დემოკრატების წინასწარი პირობები.

1) სრული თავისუფლება საკითხში კომისიის შემადგენლობის შესახებ, 2) უფლება უნდა მიეცეს დელეგაციას აირჩიოს გერმანიაში მყოფი რუსი ამხანაგები, რომლებიც სარგებლობენ „ნდობით“ და კარგად იცნობენ რუსეთს, 3) დელეგაციას უნდა ჰქონდეს სრული თავისუფლება მიმოსვლაში და საბჭოთა დაწესებულების მუშებთან მისვლაში. ეს პირობები აცნობეს პუტილოვის მუშებს მათ წინადადების პასუხად.

### ეშინია სინამდვილის გამოაშკარავების.

რომ მომავლისთვის უზრუნველყოს თავისი სიმართლე, „ფორვერსტი“ გამოსთქვამს შიშს, რომ სოციალ-დემოკრატიული პროფკავშირთა და პარტიული თანამდებობის პირები „წამოეგებიან კომუნისტურ ანკესზე“ და გაემგზავრებიან საბჭოთა კავშირში ვითომდა სოციალ დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციის სახელით.

გაზეთი მუქარის კილოთი აფრთხილებს, რომ ასეთი საქციელი შეუფერებელი იქნება პროფკავშირის ან პარტიის წევრთათვისო.

## დარწმუნებით და არა მუქარით.

მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა (საბჭოთა მუშაკთა ყოფილი კავშირი) ადგილებიდან მიღებულ შეკითხვების საპასუხოდ წავიდა პროფკავშირთა არა წევრთა სამუშაოდან მოხსნის წინააღმდეგ, ვინაიდან ეს არ შეესაბამება კავშირის პრაქტიკას. მოსამსახურეთა მიზიდვა პროფკავშირში უნდა სწარმოებდეს დარწმუნების საშუალებით და არა სამუშაოს წართმევის მუქარით.

## პროფმუშაობა ოლქებში.

მოსამსახურეთა კავშირის ცეკა შეუდგა პროფმუშაობის მდგომარეობის გამორკვევას ოლქებში. ამის მიზანია შეისწავლონ პროფკავშირთა მუშაობის პირობები სოფლის ძირა საბჭოთა და კოოპერატიულ აპარატში.

# სინათლე მივარდნილ სოფლებში.

**გლეხთა თვითმოქმედება ილვიძებს.**

მივარდნილ სოფელ ლობაჩში, ნოლინის მაზრაში რამოდენიმე მოწინავე გლეხმა თავის საკუთარ ხარჯზე ააგო სახალხო სახლი—ქოხ სამკითხველო. სახალხო სახლი აგებულ იქნა ნახევრად დანგრეულ, მიტოვებულ ბელლებიდან, რომლებიც იმყოფებოდენ სოფლიდან 7 ვერსის მანძილზე.

# განხეთქილება საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის.

## რატომ გადაასახლეს პატრიარქი.

საბერძნეთ-ოსმალეთს შორის მომხდარ განხეთქილების შესახებ საქმესთან კარგად გაცნობილ წრეებში როსტას თანამშრომელს განუცხადეს შემდეგი: „პატრიარქის გადასახლება არ იყო მოულოდნელი. დიდი ხნით ადრე ოსმალეთის გაზეთებში აღნიშნავდენ, რომ პატრიარქის არქივებში აღმოაჩინეს ისეთი საბუთები, რომლებიც ამჟღავნებდენ ოსმალეთის საქმეში ჩარევის ცდებს. პატრიარქის გადასახლებას ოსმალეთის მთავრობა სთვლის თავის შინაურ საქმედ, ვინაიდან ის სრულიად კერძო პირიაო და ამ მოსაზრებით უარს ამბობს ერთა ლიგაზე საქმის გადაცემის შესახებ.

## ოსმალეთის პოზიციის შეურყევლობა.

რაც შეეხება ლოზანის ხელშეკრულების მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ პატრიარქის სამყოფ ადგილად სტამბოლი უნდა იყოსო, ამაზე პასუხს იძლევა ოსმალეთის მთავრობა: თუ პატრიარქი იქნება ოსმალეთის მოქალაქე, მას არ აეკრძალება სტამბოლში ცხოვრებაო.

საბერძნეთის მთავრობას თავისი განგაშით სურდა გამოეწვია თანაგრძნობა დიდ სახელმწიფოებში. ოსმალეთის მთავრობის ურყევი პოზიცია აიძულებს ამ სახელმწიფოებს ფრთხილად მოექცენ ამ საქმეში ჩარევას. საერთაშორისო გარემოება დღეს არ არის იმდენად ხელსაყრელი მათთვის, რომ შეეძლოთ განახორციელონ ოსმალეთის გარშემორტყმის პოლიტიკა, რომლის გასატარებლად ისინი სცდილობენ ისარგებლონ პატრიარქის სტამბოლიდან გადასახლების ფაქტით.

## ომი დაუშვებელია.

ოსმალეთისა და საბერძნეთის უშუალო მეზობლები—ბალკანეთის სახელმწიფოებიც, დაინტერესებული არიან იმით, რათა მიემხრონ ერთ მხარეს მეორეს საწინააღმდეგოდ.

არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ განხეთქილებას მოჰყვეს ომი; არც საბერძნეთსა და არც ოსმალეთს არ შეუძლიათ აწარმოოს ომი, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ ვერ დაუძლევიათ ფინანსიური და ეკონომიური ხასიათის კრიზისი.

# საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობა.

**თბილისის მაზრა.**

—**გომბორის თემი.** გომბორში საბჭოს არჩევნები დასრულდა. საბჭომ თავის 5 თებერვლის 1 სხდომაზე აირჩია თემის აღმასკომი.

—**საგარეჯოს თემი.** საგარეჯოს სათემო საბჭომ უკვე აირჩია სათემო აღმასკომი ამხ. აბრამაშვილის თავმჯდომარეობით.

—**აღბულაღის თემი.** ირაგის სასოფლო საბჭოს არჩევნები დასრულდა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1070 კაცმა. მათ შორის 387 ქალია.

## არჩევნების შედეგები.

ა. წ. 6 თებერვალს მიღებული ცნობებით საბჭოთა არჩევნების შედეგი მთელ საქართველოში იყო ასეთი: არჩეული იყო სულ 10 სასოფლო და 67 სათემო საბჭო 2.365 დეპუტატით. მათ შორის 741 კომუნისტი და ახკომკავშირელი, 1.624 უპარტიო და 221 ქალი.

7 თებერვლის ცნობები.

7 თებერვლის დღის 12 საათამდე მიღებული ცნობებით, 6 თებერვლის ანგარიშიანათ მთელ საქართველოში არჩეულია 10 სასოფლო და 80 სათემო საბჭო 2.719 დეპუტატით. მათ შორის 787 კომუნისტი და ახკომკავშირელი (28,9 პროც.) 1932 უპარტიო (71.1 პროცენტი) და 251 ქალი (9,2 პროც.)

# ლიტვის ახალი კაბინეტი.

ლიტვაში შესდგა ახალი კაბინეტი. პრემიერად და ფინანსთა მინისტრად დანიშნულია პეტრულისი, საგარეო საქმეთა მინისტრად—ჩერტეცკისი; ახალ მინისტრთა უმეტესობა გლეხთა დემოკრატიული პარტიის წევრებია.

# საბჭოთა კავშირში

## მეცნიერულ-პოპულიარული მუშაობის ჯილდო.

სახალხო კომისართა საბჭომ გადასდო 25.000 მანეთი მიმდინარე წელში მეცნიერულ-პოპულიარული ნამუშევართა ჯილდოსთვის.

ჯილდოდ დაურიგდება 500 მანეთამდი და გამონაკლის შემთხვევებში მეტიც—შრომის ღირსების და მნიშვნელოვანობის მიხედვით.

## სატარიფო ყრილობა.

17 თებერვალს მოსკოვში გაიხსნება რკინის გზებისა და წყლის ტრანსპორტის სატარიფო ყრილობა.

## მიწის ძვრა.

თებერვლის პირველ დღეებში ლენინგრადის სადგურმა აღნიშნა რამოდენიმე მიწის ძვრა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დედამიწის სხვა და სხვა ნაწილებში. 1-დან 10 თებერვლამდი აღნიშნულ იქნა 10 მიწის ძვრის შემთხვევა. [...] თებერვალს აღნიშნულ იქ[...] მიწის ძვრა შვიდჯერ.

# დახმარება სასოფლო მეურნეო[...]ბას.

## საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭ[...]ში.

თანახმად სახელმწიფო გეგმის კომიტეტის დასკ[...] ცნობილ იქნა საჭიროდ რათა განხორციელებულ იქნას ს[...]რთველოში შემდეგი ღონისძიებანი:

### სასოფლო მეურნეობაში.

შემოდგომის სათესი მინდვრების შემცირების გამო [...] საკუთრებული ყურადღება მიექცეს გაზაფხულის სათესი მ[...]დვრების გაფართოებას.

დაევალოს ყველა აღმასკომებს გამოარკვიონ ერთი [...]რის ვადაში დაახლოებითი ზარალი, რომელიც გამოიწ[...] სტიქიურმა (ბუნების) უბედურებამ და დაუყონებლივ წარმ[...]დგინონ ცნობები საქართველოს ცენტრალურ სტატისტი[...] განყოფილებაში.

რაიონებში, სადაც შენიშნულია შინაური საქონ[...] და ფრინველების ავადმყოფობა,—გაძლიერებული იქნას ვე[...]ტერინარიო დახმარება.

### შესყიდვა და განაღდება სასოფლო მეურნეობ[...] ნაწარმოების.

აღძრულ იქნას შუამდგომლობა ამიერკავკასიის რკ[...]ნის გზის სამართველოს წინაშე, რათა გადიდებულ იქ[...] საქართველოს რკინის გზის ხაზზე სპეციალური ვაგონებ[...] რიცხვი ხილის გადასატანად.

სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა [...] აძლიერონ რქოსანი საქონლის ყიდვა იმ რაიონებში, სად[...] მოთხოვნილება ნაკლებია საქონელზე, რაიც იწვევდა საქ[...]ნლებზე ფასების დაწევას.

### შინავაჭრობაში.

დაევალოს სახელმწიფო გეგმის კომიტეტს შეისწავლ[...] მანუფაქტურის ბაზარი და გამოიმუშავოს სათანადო ღონ[...]ძიებანი საქონლის შემოტანის მიზნით ჩვენი სოფლის მო[...]ხოვნილებასთან შეფარდებით.

დაევალოს სახელმწიფო გეგმის კომიტეტს შეისწავლ[...] საქონლის კრედიტის პირობები ახალ საკრედიტო პოლი[...]კასთან დაკავშირებით და გამოსძებნოს ღონისძიებანი სახე[...]მწიფო და კოოპერაციის ვაჭრობის ხელის შეწყობის მ[...]ნით.

დაევალოს სახელმწიფო გეგმის კომიტეტს შეისწავლ[...] საკითხი „მაკრატელი“-ს შესახებ და გამოსძებნოს ღონისძი[...]ბანი ფასების დასაახლოებლად სამრეწველო და სასოფლ[...] მეურნეობის საგნებზე ჩვენი პროვინციის პირობებში.

დაევალოს სახელმწიფო გეგმის კომიტეტს შეისწავლ[...] ფულის მასის ტრიალის საკითხი რესპუბლიკაში.

# ამხ. ტროცკის შეცდომათა მთავარი ფესვები.

## საქმე პიროვნებაში კი არ არის.

წინა წერილებში ჩვენ გვქონდა საუბარი ამხ. ტროცკის ყველა ძირითად შეცდომების გარშემო. ამხ. ტროცკის დიდი დამსახურება მიუძღვის რევოლიუციის წინაშე. დღეს კი პარტიასა და მას შორის დიდი უთანხმოება მოხდა. მუშებმა და გლეხებმა უნდა იცოდენ, რაში მდგომარეობს ეს უთანხმოება.

საბჭოთა ხელისუფლებისა და მშრომელთა მასების მტრებს სურთ ისე ახსნან ეს საქმე, თითქოს ზინოვიევსა და კამენევს ეშინოდეთ ტროცკის, რომ მან არ წაართვას მათ ძალაუფლება. ხოლო თავის უკანასკნელ წიგნში ტროცკი ამბობს, რომ ისინი დაფრთხენ ოქტომბრის რევოლიუციის დროსო.

ამან უფრო გააბრაზა ისინი ტროცკიზე. მთელი საქმე მდგომარეობს პარტიის მეთაურთა კინკლაობაშიო და სხვა.

საქმის ასეთი ახსნა ნიადაგს პოულობს ობივატელთა შორის.

ხოლო ობივატელს კვერს უკრავს ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი, რომელსაც ვერ გაურჩევია რაშია საქმე.

ჩვენს წერილებში აღნიშნული იყო, რომ ამაში სრულიად არ არის საქმე.

თავი და თავი ის არის, რომ ამხ. ტროცკიმ გადაუხვია პარტიის ხაზიდან ძირითად საკითხების გაგებაში. საქმე ის არის, რომ პარტია სცნობს ამხ. ტროცკის ხაზს შემცდარად.

ხოლო ზინოვიევი და კამენევი გამოხატავენ მთელი პარტიის აზრსა და შეხედულებას.

საქმე არა ამხ. ტროცკის პიროვნებას ეხება, არამედ იმ შეცდომებს, რომლებსაც მოაქვთ მავნებლობა პარტიისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მუშებისა და გლეხებისათვის და არა მარტო სახელმწიფოს შიგნით, არამედ საერთაშორისო ურთიერთობაშიც.

ხოლო ის კი ყველასათვის ცხადია, რომ მთელი ქვეყნების მშრომელთა ბრძოლა განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის განვითარებასა და განმტკიცებასთან. ასე რომ ამხ. ტროცკის შეცდომები ზიანს აყენებს მშრომელთა ბრძოლასაც მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

რა სახეს ღებულობენ ამხ. ტროცკის შეცდომები?

საიდან გამომდინარეობენ ისინი.

ამხ. ტროცკის ყველა ძირითადი შეცდომები ორი ფესვიდან გამომდინარეობენ. პირველი არის არ ცოდნა მუშათა კლასის სწორი ურთიერთობისა გლეხობასთან. ხოლო მეორე—არ ცოდნა არსებითად პარტიის მთლიანობისა ბოლშევიკურ, ლენინურ საფუძვლებზე.

### როგორ უყურებს ამხ. ტროცკი მუშებისა და გლეხების კავშირს.

1905 წლის რევოლიუციიდან თვით 1917 წლის რევოლიუციამდი ამხ. ტროცკის ჰქონდა სულ სხვა (ვინემ ლენინს) შეხედულება რევოლიუციის განვითარების გზაზე რუსეთში.

ამხ. ტროცკის დღესაც ჰგონია, რომ მისი შეხედულება გამართლებულია ცხოვრების მიერ.

ამხ. ტროცკის ეს განსაკუთრებული ხაზი მდგომარეობდა შემდეგში: თვითმპყრობლობის ჩამოგდება და ჩამოგდებისთანავე ძალა-უფლების ხელში აღება შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასს. თვითმპყრობლობის ჩამოგდებაში და მემამულეებზე გასწორებაში მუშებს დახმარებას გაუწევენ გლეხები. მაგრამ როგორც კი მუშათა კლასი გადავა მთელი ცხოვრების გადახალისებაზე ახალ, სოციალისტურ საფუძვლებზე, მაშინვე, აუცილებელია, მუშათა კლასი უნდა განშორდეს წაეჩხუბოს გლეხობას.

რატომ? იმიტომ, რომ გლეხი, რომელსაც აქვს წვრილი კერძო საკუთრება, არ გაჰყვება მუშას, რომელსაც სურს მოაწყოს ცხოვრება მსხვილ მანქანის წარმოების საფუძვლებზე, რომელიც იქნება მთელი საზოგადოების და არა კერძო პირთა ხელში.

რა გამოსავალია ასეთ შემთხვევაში? რით შეიძლება დამაგრდეს მუშათა კლასის ხელისუფლება გლეხობის ნება-სურვილისა და ინტერესების წინააღმდეგ.

ამხ. ტროცკი უპასუხებდა: მხოლოდ იმით, რომ მუშათა კლასი სხვა ქვეყნებში ჩქარა დაამარცხებს თავის ბურჟუაზიას და მოგვეშველება ჩვენო.

აი ამაში მდგომარეობს ამხ. ტროცკის შეხედულება, რომელსაც მან უწოდა განუწყვეტელი ან და სხვაგვარად რომ ვსთქვათ- პერმანენტული რევოლიუცია.

რაში გამოიხატება აქ ბოლშევიკურ პარტიასთან, ლენინის მოძღვრებასთან დაშორება? 1917 წელში მუშათა კლასი გლეხობის დახმარებით ხომ მოექცა ძალაუფლებას სათავე[...] პარტია ხომ ყოველთვის ამბო[...]ბდა და დღესაც ამბობს, რო[...] გამარჯვება საბოლოო იქნებ[...] მხოლოდ იმის შემდეგ, რო[...] დამარცხდება მსოფლიო ბურ[...]ჟუაზია და მუშათა კლასი მ[...] რომელთა მასების სათავე[...] ძალაუფლებას აიღებს თავ[...] ხელში მთელ ქვეყნიერებაზ[...] მართალია აქ არ არის აზრთ[...] სხვა და სხვაობა, უთანხმოებ[...]

შეხედულებათა სხვადასხ[...]ვაობა მხოლოდ იმაშია, თ[...] როგორ, რა გზით უნდა მო[...]იპოვოს მუშათა კლასმა ძა[...]ლაუფლება, როგორი ურთი[...]ერთობა უნდა დამყარდე[...] გლეხობასთან ძალაუფლები[...] ხელში ჩაგდების შემდეგ[...] როგორ უნდა იქნას შენარ[...]უნებულ და განმტკიცებულ[...]ეს ძალაუფლება, როგორ უ[...] და ველოდოთ გამარჯვება[...] მთელ ქვეყნებში, როგორ უ[...] და დავეხმაროთ ამ გამარჯვ[...]ებას, რათა განვმტკიცდეთ სა[...]მუდამოდ.

ს. კრუგლიკოვი.

„კრ. ვოინი“




## ლენინის კუთხის გამგე ასეთი უნდა.

ზოგიერთ ამხანაგებს მხოლოდ საქმეში ჩარევა აინტერესებთ და მუშაობა კი არა. ასეთია მეორე ქართული ლეგიონის საკავშირო გუნდის წითელი კუთხის გამგე ამხ. გეგეჭკორი, რომელსაც სრულიად არ უჩანს სათანადო უნარი.

მიუხედავათ იმისა, რომ ის განთავისუფლებულია ყოველ გვარ განწესებისაგან სრულიად არ ზრუნავს კუთხის კეთილდღეობაზე და უყურადღებოთ აქვს მიტოვებული. ხშირია შემთხვევა, რომ კუთხის კუთვნილი გაზეთები 4 და 5 დღის დაგვიანებით მოუტანელი რჩება. შემდეგ როგორც იქნება გაახსენდება თავისი მოვალეობა და მოაქვს გუნდში დაგვიანებით გაზეთები. ეს კი გულს უცრუებს წითელ-არმიელებს გაზეთების კითხვაზე. საჭიროა ამ ამხანაგს გამოაცვლევინონ და თავის დროზე მოაწყონ კუთხე ჟურნალ-გაზეთებით.

სამხკორი ნანოთობი.

## ჩვენი სასკოლო მეცადინეობა.

გასული 1924 წლის დეკემბრიდან დაიწყო წერა-კითხვის უცოდინარ—მეორე ლეგიონის 3-ე ასეულის ახალწვეულ წითელ არმიელებს შორის მეცადინეობა. პირველ ხანებში ასეთ ამხანაგების რიცხვი ასეულში აღწევდა 36-ადე, შემდეგ კიდევ ემატებოდა 8 კაცი, სანამ ჩვენი ათასეული იმყოფებოდა ლენინზე მოცილებული, მესამე ასეულის მეცადინეობა სისტემატიურად სწარმობდა, მაგრამ თვით ლეგიონში გადმოყვანის შემდეგ, ის ძლიერ შეფერხდა. აქ არა გვაქვს სკოლა და არც ისეთი მოწყობილობა. წითელ არმიელები კი დაჟინებით მოითხოვდნენ სწავლის წარმოებას, ამიტომ მეცადინეობა გაგრძელებული იქნა. წითელ არმიელებს თვით ყაზარმაში ასწავლიან წერა-კითხვას. ეს კი მოითხოვს ბევრ დროს, რადგანაც მასწავლებელს თითეული არმიელისადმი უხდება სანიმუშო ნიშნების რვეულში ჩაწერა. დაფა და სხვა სასწავლო ნივთები არა გვაქვს. მასწავლებელს დრო აღარ ჰყოფნის.

მიუხედავად ამისა მესამე ასეულის არმიელები სრულიად არ ჩამოუვარდებიან სხვა ასეულებისას. მალე ჩვენს ასეულში სრულიად მოისპობა წერა-კითხვის უცოდინარობა.

კარგი იქნება, რომ ყურადღება მიექცეოდეს ერთ გარემოებას: ჩვენს ყაზარმებში მოთავსებული არიან აგრეთვე მესაკრავეთა ჯგუფი, რომლებიც მაშინ დაიწყებენ მუსიკის დაკვრას, როდესაც ჩვენი ასეული სასკოლო მეცადინეობას ატარებს. ეს ძლიერ გვიშლის ხელს.

ლეგიონის მესვეურებმა უნდა იფიქრონ აგრეთვე სასკოლო საგნების მოწოდებაზე. ყოველ შემთხვევაში დაფა და ანგარიშო ჩოთქი მაინც აუცილებელია.

წ. არმ. კ. ბარათელი.

## სამხედრო პოლიტ-სკოლა სანადიროდ.

27 იანვარს, ამხ. ასეულის ...ვის ქუთელიას და სკოლის ...მწყობრო ნაწილის უფროსის ...კნაძის თაოსნობით გავემგზავრეთ სანადიროდ მეზობელ რესპუბლიკის—ადერბეიჯანის ტერიტორიისაკენ. წინასწარ განზრახვით ნადირობა უნდა გვეწარმოებინა სადგურ ევლახის ...ლო-მახლო მიდამოებში.

29 იანვრიდან უკვე ვიწყებთ ნადირობას. ჩვენთან ერთად ნადირობაში მონაწილეობას ღებულობდა 1-ლ ლეგიონის, რამდენიმე წითელ-არმიელი და ...თაურები.

საერთო ნადირობას ხელმძღვანელობდა, ძველი გამოცდილი მონადირე—„მონადირეთა კავშირის ბიუროს წევრი ამხ. ...ჯავაძე".

ნადირობა ვაწარმოეთ სადგ. ევლახის გარშემო მდებარე მიდამოებში და შემდეგ კუთხეებში: კარა-ოღლინის, კარხუნის, ქვემო კარხუნის, აჯაკურის არაფის და ემირის მხარეებში.

**ნადირობის ხელშემშლელი მიზეზები.**

ნადირობის ნორმალურ მსვლელობას ხელს უშლიდა სხვა და სხვა ტეხნიკური და ბუნებრივი დაბრკოლებანი: მონადირე ძაღლების არ ყოლა და მეორე უმთავრესი, თუ დილით გაყინული იყო, შუადღისას გაუვალ ტალახებში ცურვა გვიხდებოდა.

ძაღლების უყოლობის გამო გვიხდებოდა სანადირო ადგილების სრულად შემოვლა „გაი"-ს ძახილით.

ეს გარემოება იწვევდა მონადირეთა დაღლას.

ბინის სივიწროვის გამო კი შეუძლებელი იყო დასვენება. მიუხედავად ამისა ნადირობა მხიარულად ჩატარდა და კარგი შედეგებიც მოიტანა.

**როგორ შეგვხვდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი.**

ჩვენ ძლიერ გვაინტერესებდა თუ როგორი თვალით დაგვიწყებდენ ცქერას ადგილობრივი მცხოვრებლები—მუსულმანები.

ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულებანი დიდ დახმარებას გვიწევდა ყველა ხელშემშლელ დაბრკოლებების დაძლევაში. ადგილობრივი მცხოვრებლები გვეხმარებოდნენ, რჩევას გვაძლევდნენ, ნადირობის უფრო ნაყოფიერად დასრულებისათვის.

შემთხვევა მოგვეცა ერთი ღამე გაგვეთია სოფელ არაფში სადაც საშუალება გვქონდა საუბრებით და ნათლად დაგვენახა ამ ხალხის, ახალი ცხოვრებისადმი დამოკიდებულება.

თვითეულმა გლეხმა ოთხ ოთხი ამხ—გი გაინაწილა და მიგვიღეს ისე, როგორც ნამდვილი მეგობრები და ამხანაგები.

რითაც კი შეეძლოთ დიდი პატივი გვცეს ყველას. ამხანაგების სიხარულს და განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა, მათი ასეთი მოპყრობის გამო.

საკვირველიც არ არის თუ ის თავის მეზობელ მოძმეს, პატივს სცემს, უკავშირდება და მასთან ერთად იბრძვის უკეთესი მომავლისათვის.

**ნადირობის შედეგები.**

ნადირობამ საერთოდ ძლიერ კარგი შედეგები მოგვიტანა, მიუხედავათ მრავალ ტეხნიკურ დაბრკოლებებისა. არავითარ მოულოდნელ უბედურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. ნადირობა დასრულდა ორ თებერვალს და საკმაოდ დატვირთულნი გამოვემგზავრეთ თბილისისაკენ.

სამხკორი ა. გიორგობიანი.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი. მოგვეცით აბანო.

ქართულ საარტილერიო ლეგიონის სამმართველოს გუნდი ძლიერ უყურადღებოთ არის მიტოვებული. გუნდს არა ჰყავს, არც პარიკმახერი და არც მეჩექმე, ესეც არაფერი.

აგერ ერთი თვე სრულდება რაც, მათ არ უსარგებლია აბანოთი.

დროა სანიტარულ ნაწილმა და გუნდის უფროსმა მიაქციოს ყურადღება ამ ნაკლულევანებებს, რომლებსაც ამდენ ხანს აქვს იქ ადგილი.

სასურველია აგრეთვე რომ გუნდის უფროსი დღეში ერთხელ მაინც შემოიარდეს გუნდში და დაათვალიერებდეს თავის წითელ არმიელებს.

სამმართველოს გუნდის წ. არმიელი გ—ი.

## წრის წევრის შესახებ.

სამხედრო სკოლაში და ყველა სამხედრო ნაწილების კლუბებთან არსებობენ სხვა და სხვა წრეები. ყველა ამ წრეებს მიზნად აქვს დასახული—წევრში თვით—მოქმედების განვითარება და პოლიტ—მომზადება: წრეში სხვა მუშაობასთან ერთად (და უპირველესად) უნდა სწარმოებდეს აღმზრდელობითი მუშაობა.

ყოველი წრის წევრები მოვალეა—თავისი წრის დანიშნულება და უახლოესი მიზნები გააცნოს თავის ამხანაგებს, რომელთაც ეს არ ესმით.

ასეთები კი ბლომად მოიპოვებიან. წრეში მომუშავე უფროსი ამხანაგები უნდა ემსახურებოდენ უმცროსებს და ამ რიგად გაადვილდება იმ მიზნების შინაარსის გაგება და შეთვისება, რომელსაც ყოველი წრე ატარებს. წრის ზრდა და მისი მუშაობის ნაყოფიერება სავსებით დამოკიდებულია როგორც წრის ხელმძღვანელზე აგრეთვე მის უფრო ბეჯითსა და შეგნებულ წევრებზე.

რევოლიუციის ყველა დიდი ბელადები აღზრდილან და განვითარებულან წრეში. ყოველი დიდი, სასარგებლო აზრი, და საქმე წრეში წარმოიშვება ხოლმე.

და ყოველი წრის წევრი უნდა ამაყობდეს, რომ ის წრეში იზრდება და ვითარდება, ემზადება ახალი ბრძოლებისათვის!!

ამისათვის საჭიროა მეტი დაინტერესება ჩვენი წრეებით.

ჩვენი ძმა.

### სამაგალითო წითელი მეთაური.

ეს ერთი თვეა, რაც მე-2-რე ლეგიონის მე-9-ე ასეულში ვხედავ წით. მეთაურს ამხ. ზარქუას, რომელიც დილიდან საღამომდი აწარმოებს მეცადინეობას, როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო დარგში. საღამოობით კი გვასწავლის სხვა და სხვა რევოლ. სიმღერებს. ასეთი მეთაური სიმხნევეს და ენერგიას აძლევენ ახალწვეულებს.

სამხკორი ფოტე—ხეველი

## სურათები.

1

ნელი...
სულ ნელი
ქროდა ნიავი—
ქარი კი ავი,
მოეკლა დილის,
და მისცემოდა
რიჟრაჟი ზეიმს
(ლხინსა და ქეიფს)
იცინის ყველა
ხაროზს ყოველი
და იფურჩქნება
დღეს მინდორ ველი.

2.

დახე სისინით
ძველებურ ჟინით,
ადგა ქარ ბუქი
და ქარიშხალი,
მოედო ქოხებს
ვით ცეცხლის ალი—
და შეარხია
ქოხები ღია,
შექრთა მიდამო
შექრთა ყოველი
ბარიკადებათ
გარდიქმნა ველი.

3.

მაგრამ მზემ თვისი
სტყორცნა ისრები,
და ქარიშხალს გიჟს
შეაჭრა ფრთები
იმ ორწოხებში
მიუვალ მთებში
შორს გადასტყორცნა.
კვლავ დადგა დილა
დღე სანეტარო,
აცეცხლდა ველი
სამყარო
ზეიმს მიეცა ირგვლივ ყოველი
და იფურჩქნება.

გოგიტო ციმბირელი.

## სამხედრო საქმე

**როგორ უნდა ვაწარმოვოთ ტყეების მოხილვა.**

ტყეების მნიშვნელობა დამოკიდებულია მათ სივრცეზე. ამ მხრივ ტყეების დაყოფა შეიძლება ორ ჯგუფათ: 1. ბაღები და საერთოთ პატარა სივრცის ტყეები 2. დიდი სივრცის ტყეები.

პირველი ჯგუფის ტყეები ხელსაყრელია პოზიციებისათვის და წარმოადგენენ ხშირათ დამოუკიდებელ პოზიციებს ან კიდევ დასაყრდნობ პუნქტებს.

მეორე ჯგუფი წარმოადგენს რა მოგერიებითი ზოლს ნაკლებ მოხერხებულია და გამოდგება მხოლოდ დროებით დასაკავებლათ, ამიტომ მოხილვის მხოლოდ თუ რამდენათ ხელსაყრელია მიმოსვლისათვის.

ამ გვარათ ტყეების მოხილვა ხდება სამი მიზნით 1. დაცვისათვის 2. იერიშისათვის და 3. როგორც მოძრაობის დამაბრკოლებელი.

მოხილვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს: ტყის საერთო ხასიათს, თუ რამდენი ჯარია საჭირო მისი დაცვისათვის, მიმოსვლის საშუალებებს, საუკეთესო მისავლებს, და რეზერვების მოსათავსებელ ადგილებს.

ტყის, როგორც მოძრაობის დამაბრკოლებელის მოხილვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს: გზების სიფართეს, გაკაფულს, ნიადაგს, მათი გასწორებისათვის საჭირო დროს, არდიგარდა გზების მდგომარეობას, ჯარების თავ შესაყარ ადგილებს და შეიძლება თუ არა ტყის შემოვლა და თუ შეიძლება, რამდენი დრო დასჭირდება.

**სიმაღლეების მოხილვა.**

სიმაღლების მოხილვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს: სიმაღლის საერთო ხასიათს, ნიადაგს, დაქანებების (ფერდოების) თვისებებს, სიმაღლის ძირის თვისებას, დაცქერას, შეიძლება თუ არა მოაფარო რეზერვები, წინალები და სხვა. მისავლების თვისებებს, მოხერხებულ მისავლებს, რამდენი ჯარის რიცხვს უდრის სიმაღლის მოცულობა.

სიმაღლეებზე იერიშის მიტანა ერთი უძლიერი საქმეა და ამიტომ მისთვის საჭიროა ვიცოდეთ: შემტევი ნაწილების არტილერიის ადგილები, სიმაღლის ძირსთვისება, შეიძლება თუ არა სიმაღლის ძირში არტილერიის უვნო სივრცეში მოთავსება, შეიძლება სიმაღლეს მტრის შეუმჩნევლად მიახლოვობა თუ არა.

**ხრამის მოხილვა.**

ხრამის მნიშვნელობა ადგილმდებარეობაზეა დამოკიდებული. ხრამი პოზიციის წინ აძლიერებს თავდაცვას, მოგერიებას და აძნელებს იერიშს. ხრამი ფრთებზე შეგიძლიათ გამოიყენოთ საფარათ, მაგრამ იმავე დროს მტერს შეუძლია მითი სარგებლობა და შეუმჩნევლად მოახლოვება.

ხრამ პოზიციის უკან კარგი საფარია რეზერვებისათვის, მაგრამ იმავე დროს დამაბრკოლებელი უკან დახევის დროს.

მოხილვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს კლდეებსა და ძირს. უნდა აღნიშნული იქმნას ხრამის სიღრმე, სიფართე, ფერდოების დაქანება და ნიადაგი, შეიძლება თუ არა ხრამის შემოვლა და ხრამში მიმოსვლის საშუალებანი.

გ.

## ამბები სოფლებიდან

**გლეხკომის დუქანი სოფლად.**

სოფ. მერევში (შორაპ. მაზ) სამაზრო გლეხკომი ხსნის დუქანს კოოპ. განყოფილების სახით.

**მეურმეთა ნადი. (არტელი)**

ჭიათურის რაიონში შესდგა შავი ქვის მზიდველ მეურმეთა ნადი. ნადს ხელმძღვანელობს სამაზრო გლეხკომი.

**გლეხკომების ყრილობები.**

გლეხკომების სამაზრო ყრილობები ჯერ-ჯერობით ჩატარდა რაჭის, ლეჩხუმის, შორაპნის, ზუგდიდის, გორის, ბორჩალოს და სიღნაღის მაზრებში.

**სიმინდი საზღვარ გარეთისათვის.**

აჭარის უმაღლესმა ეკ. საბჭომ წინადადება მისცა „ექსპორტხლებს", შეუდგეს სიმინდის დამზადებას საზღვარ გარეთ გასასაღებლათ.

**ხიდი სოფლათ.**

აჭარის სახ. კომ. საბჭ. დაამტკიცა სოფ. ხუცუბნის ხიდის ასაგებათ ხარჯთ აღრიცხვა, რომელიც უდრის 13.137 მანეთს.

**სწავლა სენაკის მაზრაში.**

სენაკის მაზრაში ცუდ ამინდების გამო შეწყვეტილი სწავლა უკვე განახლდა ამ რამოდენიმე დღის წინათ.

**სიმინდის შესყიდვა.**

სენაკის მაზრის გლეხკომები შეუდგენ მაზრაში გლეხებისაგან სიმინდის შესყიდვა-დამზადებას.

# ახალი ამბები.

— **გლეხთა სასახლის გახსნა.** საქართველოს გასაბჭოების დღეს (25 თებერვალი) ტფილისში მოხდება სრ. საქართველოს გლეხთა სასახლის გახსნა, ამის გამო, სოც.-უზრ. კომისარიატმა მისწერა ყველა გლეხკომებს, რომ მათ აუხსნან გლეხებს თუ რა დახმარების გაწევა შეუძლია ტფილისში ჩამოსულ გლეხებისათვის აღნიშნულ სასახლეს.

— **საალმშენებლო გეგმა.** ცენტრალურ ალმშენებლობის საალმშენებლო გეგმა 100 ბინის აშენების შესახებ დაამტკიცა მუშათა საბინაო-საალმშენებლო კომიტეტმა.

— **საბინაო ამხანაგობები.** იანვრის განმავლობაში ტფილისში შესდგა 31 საბინაო ამხანაგობა.

— **ცხენთა მოშენება.** ცხენთა საჭიროების განყოფილება ამ ჟამად საქართველოში სხვა და სხვა ადგილას აწყობს ცხენთა მოსაშენებელ პუნქტებს.

— **სამუშაოს ჩაბარება.** უმუშევართა გადამსინჯავმა კომისიებმა აღმოაჩინეს, რომ უმუშევრათ ყოფილან დარჩენილნი დიდი გამოცდილების მქონე მუშები და მისცა მათ სამუდამო სამუშაო.

## სამხედრო ტრიბუნალი.

3. თებერვალს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. გოგიჩაიშვილის, თავმჯდომარეობით განიხილა ქართულ სამხედრო მეთაურთა სკოლის თანამშრომელ ჩერნიშოვის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა სახაზინო ქონების გაფლანგვაში. სასამართლოს სხდომაზე გამოირკვა შემდეგი: ბრალდებული ჩერნიშოვი 1924 წლ. ყოფილა მიღებული სამხედრო სკოლაში იარაღის მოხელის თანამდებობაზე. მან ჩერნიშოვმა მიითვისა და გაყიდა ერთი ბორ-მაშინა, ერთი ხელის მეხრუქი, მიითვისა მასზედ ფიცრების საყიდლათ გაცემული ხუთი მანეთი, მიითვისა 1 ნახ. გირი შავ-პალონი წამალი, გარდა ამისა კიდევ მიითვისამასზედ კერძოთ გაბარებული გასაკეთებლად კურსანტ იოსავას, ჩიხლაძის და პატარქალიშვილის 3 რევოლვერი. მიითვისა ერთი ხელი სპეც-ტანისამოსი და გაფლანგა. ბრალდებულმა ჩერნიშოვმა იცნო თავი დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებებზე, გარდა რევოლვერების მითვისებისა. მისი განმარტებით 1 ნახ. გირ. წამალი მას არ მიუთვისებია არამედ დაუხარჯავს სამხკომის ბძანებით დღესასწაულზე; ერთი ხელი სპეც-ტანისამოსი სიძველის გამო მას გადაუგდია. მასზე წაყენებული ბრალდება სასამართლომ დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით გამსახლში მოთავსებით.

გნია.

პასუხის-მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

## პირველ ლეგიონის 1 ასეულის კომუჯრედიდან.

1-ლი ლეგიონის 1-ლ ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს. იმ ამხანაგებს და პირებს ვისაც მოეპოვებათ რაიმე საწინააღმდეგო ქვემოთ აღნიშნულ ამხანაგების მიმართ გთხოვთ გვაცნობოთ, ან წერილობით ან სიტყვიერად ერთი კვირის განმავლობაში. (მისამართი: ავლაბარი 1-ლ ლეგიონის 1-ლ ასეულის კომუჯრედი.)

კ ა ნ დ ი დ ა ტ ე ბ ა თ.

1. დევიძე ვარლამ მეთოდე-სძე ა. კ.კ წევრი
2. არობილიძე გრიგორ ესეს-ძე ა. კ.კ. წევრი
3. პეტროზაშვილი ივანე თედორეს ძე
4. ქადაგიშვილი ალექსი მიხეილის-ძე
5. ბურჯანაძე ლეონიდე ალექსის-ძე ა. კ.კ. წევრი
6. გვეტაძე დავით იონასძე ა. კ.კ. წევრი
7. ნებიერიძე ლავრენტი მიხეილის-ძე
8. ჯაფარიძე პავლე მათეს-ძე
9. გამრეკელი დავით გიორგის ძე ა. კ.კ. წევრი
10. ბილიხოძე ეიგენი ალმასხანის-ძე
11 მარანელი ლეონტი გრიგორის-ძე
12. კოპალეიშვილი გიორგი არტემის-ძე
13. ჩიტაიშვილი გიორგი

1-ლ ასეულის კომუჯრედის მდივანი

**შ. კვინიკაძე.**

# წითელი არმიის შვიდი წლის თავისთვის.

## კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის პოლიტსამმართველოს

5 თებერვალი. 1925 წელი. ქ. ტფილისი.

### ცირკულიარი № 15.

1925 წლის 23 თებერვალს ტარდება წითელი არმიის მეშვიდე წლის თავის დღესასწაული.

მეშვიდე წლის თავის მომზადებისა და ჩატარების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა აგიტაცია-პროპაგანდის უფრო ხელმისაწვდომ და გასაგები ფორმებით, მეთოდებითა და საშუალებებით ჩატარებულ იქნას ღრმა განმარტებითი მუშაობა წითელ-არმიელებში, მეთაურთა და პოლიტშემადგენლობაში, ტერნაწილების ცვალებად შემადგენლობასა და მთელ მოსახლეობას შორის ძირითად ლოზუნგების გარშემო:

1. თავის არსებობის მერვე წლის თავზე წითელი არმია უფრო მტკიცე დისციპლინითა და შეკავშირებული შედის ლენინის დროშის ქვეშ.

2. წითელ-არმიელები, მუშები და გლეხები მტკიცედ უნდა შეკავშირდენ რკპ ს (ბ) გარშემო.

3. წითელ-არმიელებო, განამტკიცეთ მუშებისა და გლეხების კავშირი.

4. მხოლოდ მტკიცე დისციპლინით გამსჭვალული, წერა-კითხვის კარგი მცოდნე და კარგად განსწავლილი წითელი არმიელი უძლეველად ხდის წითელ არმიას.

5. წითელი არმიის არსებობის მერვე წელი—ეს იქნება ტერიტორიალური სისტემის განმტკიცებისა და წითელი არმიის მოსახლეობასთან კავშირის გაძლიერების წელი.

6. წითელი არმია საბჭოთა საზოგადოებრივობის სკოლაა გლეხობისათვის.

7. წითელი არმია საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებათა შეიარაღებული კავშირია.

8. კავკასიის წითელ-დროშოვანი არმია, რომელიც სდგას საბჭოთა საქართველოს საზღვარზე და იცავს მშვიდობიან შრომას, დღესასწაულობს აგრეთვე საქართველოს მუშებთან და გლეხებთან ერთად საბჭოთა საქართველოს მეოთხე წლის თავს.

1. პარტბიუროებისა და უჯრედთა პრეზიდიუმების ღია კრებებზე, რომლების მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნან ნაწილის ყველა პოლიტმომუშავენი, გამომუშავებულ იქნას დეტალურად სადღესასწაულო გეგმა.

დღესასწაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის მუშაობის ცალკე მხარეები შეიძლება დაევალოს პარტიულებიდან და უპარტიო აქტიურ მომუშავეთ გან გამოყოფილ კომისიებს, რომელთა მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნან უფრო აქტიური წითელ-არმიელები.

პოლიტორგანოებმა და ნაწილებმა კავშირი დაიკავონ სამოქალაქო, პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებთან, დღესასწაულის შეერთებულად ჩატარებისა და ცალკე ნაწილების კავშირის განმტკიცებისათვის საშეფო ორგანიზაციებსა და შეფობის ქვეშ მყოფ სოფლებთან, და განსაკუთრებით ტერნაწილების ცვალებად შემადგენლობასა და მოსახლეობის შორის სადღესასწაულო მუშაობის საწარმოებლად.

ყველა თვითმოქმედ ორგანიზაციებმა, როგორც მაგალითად: სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოება, რემედასი, ქალთა ორგანიზაციები და განსაკუთრებით ქიმიის და საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებები,—მიიღონ აქტიური მონაწილეობა დღესასწაულის როგორც მომზადებაში, ისე თვით ჩატარებაში, სადაც უნდა დაუკავშირონ დღესასწაულის საერთო ამოცანები ამა თუ იმ ორგანიზაციის ამოცანებს სკოლის გარეშე პროპაგანდასთან დაკავშირების გზით.

2. კოლექტივებში ღია პარტკრებებზე, სადაც ფართედ უნდა იქნას მიზიდული მეთაურთა შემადგენლობა, საკითხის დაწვრილებით გასარჩევად დასმულ იქნას საკითხები:

ა) წარსული წლის მუშაობის ჯამი წითელი არმიის აღმშენებლობაში და მომავალი წლის პერსპექტივები. არმიის ძლიერების დამოკიდებულება ჩვენი მრეწველობის ზრდასთან. მიქცეული იქნას განსაკუთრებული ყურადღება ერთუფროსობიაზე გადასვლაზე და აღნიშნულ იქნას პარტორგანიზაციებისა და პოლიტმუშაობის როლი.

ბ) სოფლის და ჩვენი პარტიის პოლიტიკის საკითხები სოფლად. საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს არმიის შემადგენლობაში გლეხობის 90 პროც., და გაახალგაზრდავებული პარტორგანიზაცია კომკავშირელთა დიდი პროცენტის შემოსვლით მის რიგებში.

გ) დისციპლინის საკითხები არმიაში.

3. მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის კრებაზე საჭიროა ფართედ იქნას გაშუქებული ტერიტორიალური სისტემის საკითხები ჩვენი არმიის აღმშენებლობაში, საკითხები ტერგაწვევის, ცვალებად შემადგენლობის კავშირის შესახებ ძირითად შემადგენლობასთან, ცვალებად შემადგენლობის მუშაობის შესახებ, მწვევამდელთა სამეურნეო და კულტურულ მუშაობის შესახებ სოფლად და სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ ცვალებად შემადგენლობის შორის საპოლიტგანმანათლებლო მუშაობაში.

4. მოწყობილ იქნას ყოველ ნაწილში წითელ-არმიელთა ფართე კრებები შემდეგი საკითხების გაშუქებლად:

ა) წითელი არმიის მიერ განვლილი გზა სამოქალაქო ომის წლებში.

ბ) მიღწევები წითელი არმიის აღმშენებლობაში მშვიდობიან აღმშენებლობის წლებში და მომავალი ამოცანები; ეს საკითხები დაკავშირებულ უნდა იქნან საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობასთან.

5. წითელ არმიელებთან პოლიტმეცადინეობის დროს ყველა ჯგუფებში, წერა-კითხვის უცოდინართა ჯგუფის ჩათვლით, დამუშავებულ იქნას შემდეგი თემები:

1. წითელი არმიის მეშვიდე წლის თავი.

ა) თავის არსებობის მერვე წელში წითელი არმია შედის ლენინიზმის დროშის ქვეშ.

ბ) ლენინის გზაზე მტკიცე სვლით წითელმა არმიამ გადააქცია ყაზარმა სკოლად.

გ) წერა-კითხვის კარგი მცოდნე, კარგად გაწვრთნილი და შეგნებული დისციპლინით გამსჭვალული წითელი არმიელი უძლეველად ჰხდის წითელ არმიას.

დ) წითელ არმიაში და საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებათა შორის ურთიერთ დამოკიდებულება.

ე) ტერიტორიალური სისტემის განმტკიცება, მისი უპირატესობა, წითელი არმიის კავშირი მოსახლეობასთან.

2. საბჭოთა საქართველოს მეოთხე წლის თავი.

ა) საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები საქართველოში—სასოფლო მეურნეობაში, მრეწველობაში და სხვა.

ბ) მენშევიკური აჯანყება; საქართველოს მუშებისა და გლეხების დამოკიდებულება აჯანყებასთან.

გ) კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების იდეების განმტკიცება საქართველოში.

დ) წითელი არმია იცავს საზღვარს, საქართველოს და მთელი კავშირის მშვიდობიან შრომას.

6. ა) კლუბებში მთელი სკოლის გარეშე მუშაობა აგებულ იქნას დღესასწაულის გარშემო; აქ მიზანს უნდა შეადგენდეს რაც შეიძლება წითელ-არმიელთა და მეთაურ-პოლიტშემადგენლობის მეტი რაოდენობა იქნას ჩაბმული სადღესასწაულო სამზადის მუშაობაში. ნაწილის ან გარნიზონის სკოლის გარეშე მომუშავეთა საინსტრუქტორო თათბირზე ზედმიწევნით იქნან ახსნილი დღესასწაულის ლოზუნგები და ამოცანები; სემინარული მეცადინეობის დროს პრაქტიკულად იქნას გამომუშავებული დღესასწაულის ჩატარების ფორმები და მეთოდები, სადაც გამოყენებულ უნდა იქნას ყველა არსებული მასალები: ბიბლიოთეკის მონაწილეობა დღესასწაულის მომზადებასა და ჩატარებაში უნდა გამოიხატებოდეს წიგნების გამოფენის მოწყობაში წითელი-არმიის აღმშენებლობის შესახებ ბიბლიოთეკართა და აქტიურ მკითხველთა ძალებით; წიგნების პროპაგანდაში დღესასწ... ლის ძირითად ლოზუნგ... სხვა და სხვა მხატვრული ფ... მებით, ნაწილის გამოფენ... მონაწილეობაში. ბიბლიოთ... ბმა უნდა დაუკავშირონ თ... სი სადღესასწაულო მუშ... კამპანიას—„ყველა წიგნ... და ბიბლიოთეკების მოწყო... საკენ."

გამოყენებული იქნას ლი... რატურის მაჩვენებლები წი... ლი არმიის შესახებ. (კ. წ. არმიის პოლიტსამმართვ. ... 1924 წ.)

ბ) ლენინის კუთხეებში ... ტარებულ იქნას საუბრები დ... სასწაულის ძირითად ლოზ... გებზე, ყურადღება უნდა ... ქცეს სამოქალაქო ომის მო... წილეთა პირად მოგონებ... ბრძოლის დამახასიათებელ ... ზოდებიდან. კუნდის ბიბლ... თეკები განახლებულ იქ... სათანადო ლიტერატურით.

მასალად დაწყებითი მუ... ობის ხელმძღვანელობისათ... გამოყენებულ იქნას სანიმუ... პროგრამა, რომელიც დარ... ლია რესპუბლიკის პოლი... მმართველოს ბრძანებაზე № 2...

გ) საჭიროა გამოყენ... იქნას ყველა წრეები მასი... მუშაობის მოსამზადებლად ... ლენინის კუთხეების მოსაწ... მუშაობაზე დასახმარებლად.

ლენინის კუთხეებზე დაბ... რება უნდა გამოიხატებო... ციტატების, ლოზუნგების ... რჩევაში, ნაწილის გმირ... დახატვაში, სხვა და სხვა ი... ლუსტრაციების შედგენაში ... თელი არმიის ცხოვრები... და საუბრებისა და მხატვრუ... კითხვის ჩატარებაში.

დ) მასიური მუშაობა უ... გამოიხატებოდეს: 1. გამო... ნების მოწყობაში, რომლე... თვალსაჩინოდ გამოხატავენ ... თელი არმიის და ჩვენი არმ... განვლილ გზასა და მიღწევ... მოცემული არმიის წარმა... ბებს და სხვა.

2. ცოცხალი დადგმა-ინს... ნიროვკების მოწყობაში და ც... ცხალი გაზეთების ჩატარება... სასურველია მოწყობილ იქ... რაიმე ეპიზოდის ინსცენირ... ვკა სამოქალაქო ომიდან. სასპორტო შეჯიბრების გამ... თვაში სპორტის ყველა სახ... ბში.

7. წლის თავის დღისთ... გამოშვებულ იქნას კედ... გაზეთი, რომელშიაც უ... იქნას აწერილი წითელი ... მიის, მოცემული ნაწი... ბრძოლის ისტორია (წერი... ბი, მონაწილეთა მოგონებ... გაზეთი უნდა გამოხატავდეს ... რეთვე ყოველ წითელ არმ... ლისა და ნაწილის წინაშე ... ჟამად მდგარ ამოცანებს. საჭ... როა საკითხის გაშუქება ტ... ნაწილების შესახებ.

კავკასიის წითელ დროშოვ... არმიის პოლიტსამმართველო...

უფროსი რატნეკ...

აგიტპროპგანყოფილების

უფროსი სნეგირევ...

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ქიაბრეველს.** თქვენი კორესპონდენცია რომ მეორე ლეგიონის არმიელებს ჭუჭყიანი საცვლებიურიგდება— არ დაიბეჭდება, რადგან ამის შესახებ ერთხელ გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში.

**ამხ. მარკოზიას.** კორესპონდენცია „არა ერთხელ ყოფილა ასეთები" გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთში.

## განცხადება.

სამშაბათს 10 თებერვალს საღამოს 7 საათზე შეერთებ... კურსანტთა სკოლაში გაიმართება კომბინიური საღამო, რ... თვისაც უნდა მოგროვდენ ცენტრალურ კლუბში საღამოს ... საათზე ყველა კლუბის უფროსები, პოლიტხელები, ბიბ-გა... გეები და ასეულის ბიბ-გამგეები სკოლაში ერთად წასასვლ... ლათ.

სემინარების ხელმძღვანელი ტ. წვენიევი.

ნ. ღ. ხ. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ტირაჟი 1000.